ხელშეკრულება № 2019/5
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი № CON180000031)

ქ. თბილისი

„31“ დეკემბერი“ 2018 წ.

შემსყიდველი:	სსიპ „სმართ ლოჯიქი“
საიდენტიფიკაციო კოდი	206350599
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა
უფლებამოსილი წარმომადგენელი	დირექტორი გიორგი მეჟლუმიანი
საკონტაქტო ინფორმაცია	
ტელეფონის ნომერი	2405 815
ელექტრონული ფოსტა	gmezurnishvili@justice.gov.ge
საკონტაქტო პირი	გიორგი მეზურნიშვილი
საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი	551 511 444
საბანკო რეკვიზიტები	
ბანკი	სახელმწიფო ხაზინა
ანგარიშის ნომერი	GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი:	შპს რომპეტროლ საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი	204 493 002
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, გამრეკელის ქ. 19
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. 12
უფლებამოსილი წარმომადგენელი	გენერალური დირექტორის მინდობილი პირი ტლეკ მაულეშევი
საკონტაქტო ინფორმაცია	
ტელეფონის ნომერი	032 2 91 07 27
საბანკო რეკვიზიტები	
ბანკი	სს ვითიბი ბანკი
ანგარიშის ნომერი	GE79VT6600000090303602

ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის #11 ბრძანების, 2019 წლის განმავლობაში ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის N 2307 განკარგულებისა და საწვავის 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - ხელშეკრულება) – 2019 წლის განმავლობაში პრემიუმის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, CON180000031 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე იმ დოკუმენტებით და დანართებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება - საერთო თანხა, (შესასყიდი საორიენტაციო რაოდენობა გამრავლებული 1 ლიტრი საწვავის სავარაუდო ფასზე) რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.3. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. საწვავი, შესყიდვის ობიექტი - **ბენზინი პრემიუმი - ოქტანობა არანაკლებ 95,**

1.5. სატენდერო დოკუმენტაცია - პრემიუმის 2018 წლის 12 დეკემბრის „ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია", რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.6. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლისა და თანმდევი მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.7. საქონელი – ხელშეკრულების 2.2. პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი.

1.8. ავტორიზებული ავტომანქანა – შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე მყოფი ავტომანქანა, რომელიც უნდა აღიჭურვოს „აგაი" სისტემის კომპონენტებით.

1.9. ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა (შემდგომში – აგაი სისტემა) – სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებასა და იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ჩასხმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

1.10. სატენდერო დოკუმენტაცია – საწვავის 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" მიერ *საწვავის* შესყიდვა ეტაპობრივად წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, მაგრამ არაუადრეს 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საწვავი: ***ბენზინი - Efix Euro Premium,*** *შემდგომში - „პრემიუმი"* რომლის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 2400 ლიტრს.

2.3. შესასყიდი საწვავის საორიენტაციო რაოდენობა, სახეობა, ერთეულის საორიენტაციო ფასი და სხვა მონაცემები მოცემულია დანართ №1-ში, ავტორიზებული ავტომანქანების ჩამონათვალი და სხვა მონაცემები მოცემულია დანართ #2-ში, ხოლო მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების (შემდგომში „აგს") ჩამონათვალი მოცემულია დანართ #3-ში. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, მიუხედავად მისი დამოწმება/ ხელმოწერისა.

2.4. *საწვავის* მიწოდება უნდა განხორციელდეს აგაი სისტემის მეშვეობით, გარდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. საწვავის მიღება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების N3 დანართით განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.

2.5. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი *საწვავის* მოცულობა, ერთი ლიტრი პრემიუმის ფასი, ხელშეკრულების ღირებულება და ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

2.6. წინამდებარე ხელშეკრულებაში შესული ცვლილება ავტომატურად იწვევს შესაბამისი დანართების შესაბამის ცვლილებას.

2.7. აგაი სისტემის გარეშე საწვავის შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობის საფუძველზე, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში. სატენდერო კომისიის თანხმობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია არ შეაჩეროს/შეწყვიტოს შემსყიდველის მიერ თანხმობის წარმოდგენამდე შესაბამისი მომსახურება. აღნიშნული არ ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობად და არ გამოიწვევს მის დაჯარიმებას. მიმწოდებელი არ არის ვალდებული რაიმე სახით ჩაერიოს შემსყიდველის მიერ შესაბამისი ნებართვის მოპოვების პროცესსა ან/და შემდგომ განახორციელოს ნებართვით გაცემული საწვავის ოდენობის კონტროლი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **4,824.00** (ოთხი ათას რვაას ოცდაოთხი) ლარს.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საწვავის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

4. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა და ანგარიშსწორების პირობები

4.1. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z" აშშ დოლარში, ასეულობის სიზუსტით, (ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები და საწარმოს მოგება) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=\left(\frac{C_{bid}*1000}{D*1.18}-A_{nov}\right)*\frac{1}{R_{nov}}-P_{nov}$$

რომელშიც:

C_{bid} - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ *საწვავის* (ლარში);

R_{nov} – აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2018 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული;

D - მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი *საწვავის* სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ^3);

P_{nov} - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2018 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში (შემდგომში - პლაცის ნიშნული).

A_{nov} – 2018 წლის ნოემბრის თვეში ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობა ლარებში

Z და D სიდიდეები უცვლელია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

4.2. მიმწოდებელი ახორციელებს ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისათვის 1 ლიტრი *საწვავის* ნომინალური ღირებულების განსაზღვრას, თვის პირველივე სამუშაო დღეს (შემდგომში - ნომინალური ღირებულება - C_{nom}) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C_{nom} = \frac{((P+Z)R+A)\cdot 1.18\cdot D}{1000}$$

სადაც: P და R წარმოადგენს მიმდინარეს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს; A - მიმდინარე თვის მოქმედ ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობას ლარებში, 18%-დღგ, ხოლო Z და D – 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ *საწვავის* სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს.

4.3. ნავთობპროდუქციის (საწვავის) სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასსა (P) ან/და აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალურის ოფიციალური გაცვლით კურსზე (R) ან/და ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობაზე დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია ვებ გვერდზე pricerompetrol.ge -ზე გამოაქვეყნოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში საწვავის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი - C_1). აღნიშნულის თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაცია ინფორმირებულია და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს რომ ინფორმაციის მიღების ზემოხსენებული ფორმა მისთვის მისაღებია.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, თვის სახელშეკრულებო ფასი გამოითვლება 1 ლიტრ *საწვავის* ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით, შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

ა) მიმწოდებელი, ითვალისწინებს რა პლაცის ნიშნულის, აქციზის და სავალუტო კურსის ცვალებადობას, ყოველი კალენდარული თვის პირველ სამუშაო დღეს, განსაზღვრავს 1 ლიტრი *საწვავის* მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასს შემდეგი პრინციპის მიხედვით: იმ შემთხვევაში, თუ A-ს, P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი *საწვავის* ნომინალური ღირებულების (C_{nom}) სამზე ნაკლები პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უდრის წინა თვის სახელშეკრულებო ფასს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ A-ს, P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი *საწვავის* ნომინალური ღირებულების (C_{nom}) სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უტოლდება ფორმულით გაანგარიშებული მიმდინარე თვის ნომინალურ ფასს.

ბ) სახელშეკრულებო ფასის დადგენისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპი: იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი *საწვავის* საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა კალენდარული თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%–ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის C_1 უნდა იყოს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი *საწვავის* საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–ზე მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

4.5. მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასის საფუძველზე დადგენილი საანგარიშსწორებო ფასის (C_2) მიხედვით, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. საანგარიშსწორებო ფასი გამოქვეყნდება მიმწოდებლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერზე.

4.6. საწვავის შესყიდვის შემთხვევაში საანგარიშსწორებო ფასის განსაზღვრისას მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას:

ა) აგაი სისტემის ან/და საბარათე სისტემის მეშვეობით საწვავის შესყიდვის შემთხვევაში, საანგარიშსწორებო ფასი მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები უნდა იყოს მიმდინარე თვის განმავლობაში მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული ერთი ლიტრი *პრემიუმის* ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე (C_{AV}).

ბ) არასაბარათე (ტალონის) სისტემით პრემიუმის შესყიდვისას, მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს თითოეულ ჯერზე გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურას, საწვავის გატანის დღეს. საანგარიშსწორებო ფასი გამოითვლება ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით განსაზღვრული საანგარიშსწორებო ფასის მიხედვით, რომელიც უნდა იყოს ტალონის გატანის დღისათვის მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ფასზე მინიმუმ 15 თეთრით ნაკლები.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით. *საწვავის* მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.8. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ სატენდერო დოკუმენტაციის 4.2 პუნქტით განსაზღვრული A, P და R, მათ საფუძველზე გამოთვლილი 1 ლიტრი *საწვავის* მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი (C_1) და აგრეთვე მიმდინარეს წინა თვის საანგარიშწორებო ფასი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4.9. მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი *საწვავის* ყოველდღიური ფასის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა.

4.10. დაფინანსების წყარო : საკუთარი სახსრები.

4.11. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ 4.3. და 4.8. პუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მიმდინარე თვის ფასზე დაყრდნობით.

4.12. 2019 წლის დეკემბრის განმავლობაში მიწოდებულ საწვავზე ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.13. მიმწოდებელი პასუხისმგებელია საწვავის ფასთან დაკავშირებით წარმოდგენილი, ასევე მის ვებ-გვერდზე განთავსებული, ნებისმიერი ინფორმაციის სისწორეზე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საორიენტაციო ოდენობის საწვავის მიწოდება შემსყიდველისთვის აგაი სისტემის მეშვეობით, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის 5.14. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ბ) ერთჯერადად განახორციელოს მიმწოდებლის ავტორიზებული ავტომანქანების (წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს თანდართული დანართი #2-ის შესაბამისად) უსასყიდლოდ აღჭურვა „აგაი" სისტემით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში. მიმწოდებელი, ასევე, ვალდებულია 2019 წლის 1-ლი იანვრიდან, პრემიუმის გაცემა განახორციელოს 2018 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დამონტაჟებული „აგაი" სისტემის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ 2019 წლის ფარგლებში დაემატა აგაი სისტემით აღსაჭურვი ავტომანქანების რაოდენობა, ყველა მათგანი აღჭურვოს, არაუგვიანს 2019 წლის 31 იანვრისა, შემსყიდველი ორგანიზაციის განაცხადის საფუძველზე.

გ) „აგაი" სისტემის დამონტაჟებამდე, *საწვავის* მიწოდება უნდა განხორციელდეს პლასტიკური ბარათების მეშვეობით, ასეთის აუცილებლობისა და მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში.

დ) „აგაი" სისტემის კომპონენტები წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას, რომელსაც იგი დროებით, ერთჯერადად დამონტაჟებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საფასურის გარეშე გადასცემს შემსყიდველ ორგანიზაციას მათ ავტორიზებულ ავტომანქანებზე დამონტაჟების გზით. მიმწოდებელმა არაუგვიანეს 2020 წლის 31 იანვრისა, საკუთარი ხარჯებით უნდა მოახდინოს შემსყიდველი ორგანიზაციის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული „აგაი" სისტემის კომპონენტის დემონტაჟი, რისთვისაც შემსყიდველი ვალდებულია 2019 წლის 1-ლი იანვრიდან მიმწოდებელის მიერ მითითებულ დროსა და ადგილას განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები (მათ შორის ავტომანქანის მიყვანა) მის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული „აგაი" სისტემის კომპონენტის მიმწოდებლისთვის უკან დაბრუნების მიზნით. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი იქნა გამარჯვებული 2020 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში, როგორც *საწვავის* მიმწოდებელი, ის არ არის ვალდებული განახორციელოს აგაი სისტემის დემონტაჟი. აგაი სისტემის კომპონენტების შემსყიდველი ორგანიზაციის

ბრალეულობით გამოწვეული დაზიანების/დაკარგვის შემთხვევაში მიმწოდებელი არ არის ვალდებული უსასყიდლოდ განახორციელოს ახალი კომპონენტის მონტაჟი. აგაი სისტემის კომპონენტის ხელმეორედ მონტაჟის ღირებულება შეადგენს 50 ლარს, მომსახურების ღირებულებისა და დღგ-ს ჩათვლით.

ე) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათის წარდგენისთანავე, ან „აგაი" სისტემის შემთხვევაში - ავტოგასამართ სადგურებზე ავტორიზებული ავტომანქანის მისვლისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით, თუ ამ პერიოდში არ მიმდინარეობს ავტოგასამართ სადგურზე შესაბამისი საწვავით საწვავის ავზის შევსება ან/და აგს-ის მენეჯერის ცვლის გადაბარება (საწვავის გაცემისას ხურდის სახით თანხის ან ტალონის დაბრუნება არ დაიშვება).

ვ) წინამდებარე ხელშეკრულებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საწვავის მიწოდება შესაძლოა განხორციელდეს პლასტიკური ბარათების მეშვეობით. მიმწოდებელი ვალდებულია ბარათი შემსყიდველს უსასყიდლოდ დაუმზადოს ერთჯერადად, ბარათის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს განმეორებითი ბარათის დამზადება, აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ბარათის ღირებულება 15 ლარის ოდენობით (ღირებულება შეიცავს დამზადების მომსახურებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრება მიმწოდებელს).

ზ) წარუდგინოს 4.7 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშ-ფაქტურა შემსყიდველ ორგანიზაციას.

თ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

ი) უზრუნველყოს შემსყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ამ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება

კ) არ განახორციელოს საწვავის შემსყიდვლისათვის მიწოდება აგაი სისტემის გარეშე, შემსყიდველის მიერ სატენდერო კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარდგენის გარეშე.

5.2. <u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.7 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ ხელშეკრულების N3 დანართით, გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე.

გ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

დ) წერილობით შეტყობინებაში მითითებული დროისა და ადგილის მიუხედავად, ნებისმიერ დროს შეცვალოს აგაი სისტემის დამონტაჟების დრო და ადგილი, შემსყიდველის წინასწარი შეტყობინების შესაბამისად.

ე) საკუთარი სურვილის შესაბამისად შეარჩიოს აგაი სისტემის მონტაჟის დრო და ადგილი. აღნიშნულის თაობაზე წინასწარ წერილობით შეატყობინოს შემსყიდველს.

5.3. <u>შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:</u>

ა) წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე წარუდგინოს მიმწოდებელს ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრები. ასევე, წარუდგინოს სია იმ ავტორიზებული ავტომანქანებისა, რომლებზეც უნდა მოხდეს აგაი სისტემის დამონტაჟება. აგაი სისტემის დამონტაჟების მიზნით უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მითითებულ ადგილას მისი ავტორიზებული ავტომანქანების მიყვანა. პლასტიკური ბარათების გაცემის და აგაი სისტემის მონტაჟის რიგითობა შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება პარამეტრებს, რომლებიც საჭიროა აგაი სისტემის დამონტაჟებისთვის, შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ავტომობილის ტექნიკური გამართულობა და შესაბამისობაში მოყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აგაი სისტემის

დაუმონტაჟებლობის გამო,ასევე თუ შემსყიდველის მიერ არ განხორციელდა დროულად ან/და საერთოდ არ განხორციელდა ავტომანქანის მიყვანა მიმწოდებლის მიერ მითითებულ დროსა და ადგილას, მიმწოდებელს ეხსნება ნებისმიერი პასუხისმგებლობა.

ბ) აკონტროლოს ავტორიზებული ავტომანქანების ლიმიტები მიმწოდებლის შესაბამის სისტემაში, მიმწოდებლის მიერ გადაცემული მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. თავად განახორციელოს საწვავის ლიმიტების ცვლილება, ავტომანქანებისთვის საწვავის მიწოდების დაბლოკვა და ა.შ. მიმწოდებლის შესაბამის სისტემაში განხორციელებულ ნებისმიერ ტრანზაქციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს.

გ) ხელშეკრულების შესაბამის დანართში მითითებული ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. ცვლილების (მათ შორის სანომრე ნიშნის ცვლილების) შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ, ცვლილებიდან სამი დღის ვადაში აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის თაობაზე. ავტორიზებული ავტომობილების სიის ცვლილების შემთხვევაში აგაი სისტემის დამონტაჟების ვადებთან დაკავშირებით მხარეები შეთანხმდებიან დამატებით, მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ვადებისა.

დ) ავტომანქანის საწვავით გამართვა განახორციელოს მხოლოდ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

ე) უზრუნველყოს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება 4.7 პუნქტით დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად.

ვ) აგაი სისტემის კომპონენტების ან/და ბარათის შემსყიდველი ორგანიზაციის ბრალეულობით გამოწვეული დაზიანების/დაკარგვის შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად აუნაზღაუროს მას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ღირებულება, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან ხუთი დღის ვადაში.

ზ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

თ) შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

5.4. <u>შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:</u>

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

5.5. მხარეები ვალდებულნი არიან სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლონ ერთმანეთთან, განიხილონ ერთმანეთის მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდონ წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ხუთი დღის ვადაში წარუდგინოს მას შესაბამისი წერილობითი პასუხი.

5.6. სატენდერო დოკუმენტაციის 7.4. პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულების გაფორმების ვადების, ბარათის, ტალონის მიწოდების ან/და აგაი სისტემის დამონტაჟების ვადების დარღვევის თაობაზე.

6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. მიმწოდებლის ვებ გვერდზე (მითითებული 4.3. პუნქტში) განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება ოფიციალურ ინფორმაციად და წერილობით შეტყობინებად მხარისთვის. აღნიშნულის თაობაზე შემსყიდველი ინფორმირებულია და მას მომავალში არ შეიძლება პრეტენზია ქონდეს შეტყობინების მიღებასა და ფორმასთან დაკავშირებით.

7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

7.2. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი *საწვავის* ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი საწვავის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით წინამდებარე ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საწვავის საორიენტაციო მოცულობაზე.

7.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.7 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებით, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის აუცილებლობა, ცვლილებების ან/და დამატების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება წყდება ავტომატურად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.

9.2. *<u>წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:</u>*

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

9.3. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

9.4. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

10. დავების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის / შემსყიდველის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) უნდა მიექცეს დაუყონებლივ აღსრულებას.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ შემსყიდველი დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მიმწოდებელს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

11.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და იგი ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების 4.11 პუნქტი ძალაშია 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „სმართ ლოჯიქი“
საიდ. კოდი: 206350599
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,
საბანკო რეკვიზიტები; № GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 2-40-58-15
საკონტაქტო ელ. ფოსტა: gmezurnishvili@justice.gov.ge
ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი:
დირექტორის გიორგი ზეკლუმიანის სახით

მიმწოდებელი:

შ შპს „რომპეტროლ საქართველო“
ს/კ 204493002
მისამართი: ვ. ვეკუას ქ. 3, თბილისი
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602

გენერალური დირექტორის
მინდობილი პირი ტლეკ მაულეშევი

დანართი №1

201 წლის “” ” №

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	საორიენტაციო რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო საორიენტაციო ღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
	Efix Euro Premium	RON 95	რუმინეთი	2400 ლიტრი	2.01	4,824.00 ლარი	ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვით	ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, მაგრამ არაუადრეს 2019 წლის 1-ლი იანვრიდან 31.12.2019- მდე

შემსყიდველი:

სსიპ „სმართ ლოჯიქი“
საიდ. კოდი: 206350599
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,
საბანკო რეკვიზიტები; № GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 2-40-58-15
საკონტაქტო ელ. ფოსტა: gmezurnishvili@justice.gov.ge
ხელმძღვანელი პირის სახელი, დაგვარი:
დირექტორის გიორგი მეზურნიშვილის სახით

მიმწოდებელი:

შ შპს „რომპეტროლ საქართველო“
ს/კ 204493002
მისამართი: ვ. ვეკუას ქ. 3, თბილისი
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602

გენერალური დირექტორის
მინდობილი პირი ტლეკ მაულეშევი

დანართი №2

ავტომანქანების მონაცემები და სახელმწიფო ნომრები

#	სახელმწიფო ნომერი,	ავტომანქანის მარკა	საწვავი	აგაი სისტემის ან/და პლასტიკური ბარათის თაობაზე ინფორმაცია (დამონტაჟებულია/მომზადებულია თუ არა)
1	LG346GL	RENAUT LOGAN	პრემიუმი	დიახ

შემსყიდველი:

სსიპ „სმართ ლოჯიქი"
საიდ. კოდი: 206350599
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,
საბანკო რეკვიზიტები; № GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 2-40-58-15
საკონტაქტო ელ. ფოსტა: gmezurnishvili@justice.gov.ge
ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი:
დირექტორის გიორგი მეელუმიანის სახით

მიმწოდებელი:

შ შპს „რომპეტროლ საქართველო"
ს/კ 204493002
მისამართი: ვ. ვეკუას ქ. 3, თბილისი
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602

გენერალური დირექტორის
მინდობილი პირი ტლეკ მაულეშევი

დანართი №3

მხარეთა შორის გაფორმებული # ხელშეკრულებისთვის

#	აგს	აგს მისამართი	ავტომატიზაცია	Efix Euro Premium
1	ბოლნისი	ქ. ბოლნისი, დ. აღმაშენებლის ქ. #35ა	დიახ	დიახ
2	ვაზი	ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზაზე, გლდანისაკენ ჩასახვევი გზის მიმდებარედ	დიახ	დიახ
3	სარაჯიშვილი	ქ. თბილისი, მეტრო სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ, (ნაკვეთი #1/9)	დიახ	დიახ
4	გორი 2	ქ. გორი, გადაკვეთა ყიფიანისა და ტყვიავის ქუჩის	დიახ	დიახ
5	ბათუმი 4	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. #82	დიახ	დიახ
6	შეშელიძე 2	ქ.თბილისი, გლდანი-დიღომის შემაერთებელ მაგისტრალზე, (ნაკვეთი N29/42)	დიახ	დიახ
7	წალენჯიხა	ქ. წალენჯიხა, ნინო წმინდას ქ. (ავტო გასამართი)	დიახ	დიახ
8	აუდი	ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა	დიახ	დიახ
9	წერეთელი	ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი N140ა	დიახ	დიახ
10	ნაციონალი	ქ. თბილისი, საქ. სამხედრო გზაზე, ახმეტელისა და ავტოგასამართ სადგურ "გრეკო"-ს შორის	დიახ	დიახ
11	ჩოხატაური	ქ. ჩოხატაური, კოსტავას ქ. #7	დიახ	დიახ
12	ორთაჭალა 3	ქ. თბილისი, გ.გულუას ქუჩაზე შ.ს.ს-ს ავტოპროფილაქტორიუმის მიმდებარედ	დიახ	დიახ
13	ქსანი	ქ. თბილისი, ქსნისა და ფეიქრების ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვ. 39/009)	დიახ	დიახ
14	ისანი	ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზირი, ბაზრობა "ისანი"-ს სამხრეთ შესასვლელის მიმდებარედ (ნაკვ. 1/17)	დიახ	დიახ
15	გპი	ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #79	დიახ	დიახ
16	სანზონა 2	ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი #64, თბილაბრეშუმი "ცისარტყელა"-ს მიმდებარედ	დიახ	დიახ
17	ქუთაისი 3	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. #12ა/ ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. #10ა, ნაკვ #2	დიახ	დიახ
18	მარნეული 2	ქ. მარნეული, ქუჩა აღმაშენებელი	დიახ	დიახ

19	ზუგდიდი	ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. #69	დიახ	დიახ
20	ქუთაისი 1	ქ. ქუთაისი, ი ჭავჭავაძის გამზირი #8/ ქ. ქუთაისი, ლ.ასათიანის ქ. #98 ნაკვეთი #3	დიახ	დიახ
21	დიღომი 1	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ.	დიახ	დიახ
22	ჩაქვი	ქობულეთი, დაბა ჩაქვი, თამარ მეფის ქ. #9ა	დიახ	დიახ
23	გომბორი	გარდაბანი, სოფელი მარტვილი/ თბილისი-საგარეჯოს საავტ. გზის 27-ე კმ	დიახ	დიახ
24	სამგორი 1	ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, მეტროსადგურ "სამგრორი"-ს მიმდებარედ	დიახ	დიახ
25	სამგორი 2	ქ. თბილისი, ვაცეკის ქუჩასა და კახეთის გზატკეცილის გადაკვეთასთან	დიახ	დიახ
26	მეტეხი	ქ. თბილისი, 300 არაგველის ქუჩის დასაწყისში, ქეთევან წამებულის გამზირის მხრიდან	დიახ	დიახ
27	ბათუმი 1	რაიონი ხელვაჩაური, სოფელი ურეხი, ქუჩა ხახულის #8	დიახ	დიახ
28	ქუთაისი 2	ქ. ქუთაისი, ქუჩა 9 აპრილი, #2ა	დიახ	დიახ
29	ბაგები	ქ. თბილისი, გამზირი ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს/ ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირზე ტროლეიბუსების ბოლო გაჩერებასთან არსებული სკვერი	დიახ	დიახ
30	ნუცუბიძე	ქ. თბილისი, ნუცუბიძის და ბუდაპეშტის ქუჩების კუთხეში	დიახ	დიახ
31	ჯავახეთი	ქ. თბილისი, ჯავახეთის ქ. #50-ის მიმდებარედ	დიახ	დიახ
32	გლდანი	ქ. თბილისი, გლდანის მე-4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ	დიახ	დიახ
33	ბაკურციხე	რაიონი გურჯაანი, სოფელი ბაკურციხე	დიახ	დიახ
34	ნარეყვავი	ქ. მცხეთა, დასახლება ნარეკვავის	დიახ	დიახ
35	ნატახტარი	მცხეთა, სოფელი წეროვანი	დიახ	დიახ
36	რუსთავი	ქ. რუსთავი, ქუჩა მშენებელთა, ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორია	დიახ	დიახ

37	კუმისი	გარდაბანი, სოფელი კუმისი	დიახ	დიახ
38	სენაკი	ქ. სენაკი, ქუჩა მშვიდობა. #172	დიახ	დიახ
39	ბათუმი 3	ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ, #90	დიახ	დიახ
40	ზესტაფონი	ქ. ზესტაფონი, თამარ მეფის ქ.	დიახ	დიახ
41	ლანჩხუთი	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიის ქ. #24	დიახ	დიახ
42	ოზურგეთი	ქ. ოზურგეთი, დავით აღმაშენებლის ქ. #121	დიახ	დიახ
43	თელავი	თელავი, თბილისის გზატკეცილი #24	დიახ	დიახ
44	დიდუბე	ქ. თბილისი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, მეგობრობის გამზირის გადაკვეთასთან, (ნაკვ. 16/2)	დიახ	დიახ
45	სამტრედია	ქ. სამტრედია, თამარ მეფის ქ. #15/ #13	დიახ	დიახ
46	გორი	რაიონი გორი, სოფელი სვენეთი	დიახ	დიახ

შემსყიდველი:

სსიპ „სმართ ლოჯიქი“
საიდ. კოდი: 206350599
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,
საბანკო რეკვიზიტები; № GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 2-40-58-15
საკონტაქტო ელ. ფოსტა: gmezumishvili@justice.gov.ge
ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი:
დირექტორის **გიორგი მეელუმიანის** სახით

მიმწოდებელი:

შ შპს „რომპეტროლ საქართველო“
ს/კ 204493002
მისამართი: ვ. ვეკუას ქ. 3, თბილისი
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602

გენერალური დირექტორის
მინდობილი პირი ტლეკ მაულეშევი

დანართი №4

საწვავის მიწოდების პირობები

16. ტალონური სისტემით საწვავის მიწოდების წესი:

1.1 შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი შეკვეთისა და წინამდებარე დანართის 1.5 პუნქტით დადგენილი პროცედურების დაცვით, მიმწოდებელი დაამზადებს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) შეძენილი საწვავის ტალონებს ლიტრობრივ ერთეულებში (5, 10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

17. მიმწოდებლის ლოგო წარწერით ;

18. ტალონის ნომერი;

19. საწვავის სახეობა;

20. საწვავის რაოდენობა.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) საათის გასვლის შემდეგ. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი გონივრულ ვადაში სამუშაო საათებში აცნობებს მიმწოდებელს დაკარგვის შესახებ წერილობით და მიუთითებს დაკარგული ტალონების ნომრებს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს აღნიშნული ტალონების დაბლოკვას, მათი შემდგომი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ამასთან, შემსყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და საწვავის გაცემა. დაკარგული ტალონების პოვნის შემთხვევაში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონების აღდგენას (ბლოკირების მოხსნას).

1.2 მიმწოდებელი ვალდებულია ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საწვავის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

1.3 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

1.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

1.5 შემსყიდველის წერილობითი შეკვეთიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ“) მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით

დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება. „ენსაფ"-ის დადასტურების შემდეგ შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავის ტალონები (მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის დადასტურების დღესვე მოამზადოს ტალონები შემსყიდველისათვის გადასაცემად). მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

2. პლასტიკური ბარათებით და აგაის სისტემით საწვავის მიწოდების წესი:

2.1 შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის წერილობითი შეკვეთიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებელი თავის ვებ-გვერდზე გაუხსნის შემსყიდველს სპეციალურ ანგარიშს და უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ შეძენილი საწვავის ჩარიცხვას აღნიშნულ ანგარიშზე, პლასტიკურ ბარათებზე და აგაის სისტემის კომპონენტზე საწვავის შემდგომი განაწილების მიზნით. სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ შემსყიდველს უფლება აქვს ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავისი შეხედულებისამებრ, მოახდინოს აღნიშნული საწვავის გადანაწილება მის კუთვნილ ერთ ან რამოდენიმე პლასტიკურ ბარათზე და აგაის კომპონენეტზე ინტერნეტით, მიმწოდებლის ვებ-გვერდის საშუალებით, შემსყიდველის მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. ცალკეულ ავტომანქანაზე ლიმიტის დაწესებასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს. მიმწოდებელის მიერ დამონტაჟებული აგაი სისტემის საშუალებით განხოლცილედება საწვავის მოხმარება.

2.2 პლასტიკური ბარათის/აგაის დაკარგვასთან, დაზიანებასთან ან განადგურებასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკი გადადის შემსყიდველზე.

2.3 მომხმარებლის სახელი და პაროლი იგზავნება ხელშეკრულებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე. ამავდროულად უტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს სახელისა და პაროლის შეცვლისა და გამოყენების წესების შესახებ. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშის პირველ გამოყენებამდე და პლასტიკურ ბარათებზე აგაის სისტემის კომპონენტზე საწვავის გადატანამდე შეცვალოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული პაროლი და შემდგომში გამოიყენოს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ახალი პაროლი. პირველადი მომხმარებლის სახელისა და პაროლის შემსყიდველის წარმომადგენლისათვის გადაცემისთანავე ყოველგვარი პასუხისმგებლობა და რისკი სახელისა და პაროლის არასანქციონირებულ გამოყენებაზე, ელექტრონული ანგარიშიდან საწვავის უნებართვო გადატვირთვაზე და სხვა მსგავს შემთხვევებზე, აგრეთვე ამით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებზე, გადადის შემსყიდველზე.

2.4 საწვავის გაცემა მოხდება პლასტიკური ბარათით ნებისმიერ პირზე. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია ავტომანქანის სახელმწიფო ნომრიანი და ასევე უნომრო პლასტიკური ბარათის დამზადება რაც გაიცემა აუცილებლობის შემთხვევაში სატენდერო კომისიის თანხმობის საუძველზე. ნომრიანი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარდ გენისას, საწვავის ჩასხმა მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრის და სერიის მქონე ავტომანქანის ავზში.

2.5 ხოლო ნებისმიერი სახის დამატებით ტევადობებში (ჭურჭელში) ან სხვა ავტომანქანის ავზში საწვავის ჩასხმა არ განხორციელდება.

2.6 პლასტიკური ბარათი/აგაის სისტ ემა ადასტურებს მისი წარმომდგენლის უფლებას ავტოგასამართ სადგურზე მიიღოს ბარათზე/აგაიზე ჩატვირთული შესაბამისი საწვავი. პლასტიკური ბარათის/აგაის დაკარგვის შემთხვევაში მისი ბლოკირების ვალდებულება შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების მიზნით ეკისრება თავად შემსყიდველს, რომელმაც უნდა მოახდინოს ბლოკირება თავისივე manager.fillandgo.ge-ზე სპეციალური ანგარიშის გამოყენებით საკუთარი ვებ-კაბინეტიდან.

2.7 შემსყიდველი ვალდებულია პლასტიკური ბარათი შეინახოს მზისგან, ელექტრული და მაგნიტური ველებისაგან (მობილური ტელეფონი, ტრანსფორმატორი, ტელევიზორი და სხვ.) დაცულ ადგილას, ასევე არ მოახდინოს პლასტიკური ბარათის გაღუნვა. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბარათის დაზიანებაზე. პლასტიკური ბარათის ფიზიკური დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეიძინოს ახალი ბარათი და ითხოვოს მასზე ბლოკირების შემდეგ არსებული ნაშთების გადატანა. პლასტიკური ბარათის პროგრამულად დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი უსასყიდლოდ დაუმზადებს შემსყიდველს ახალ პლასტიკურ ბარათს.

2.8 ყოველი მომდევნო თვის 12 რიცხვამდე მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ") წინა თვეში პლასტიკური ბარათების სისტემით ავტოგასამართი სადგურებიდან ფაქტობრივად გაცემული საწვავის რაოდენობის შესაბამისად. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება. შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

2.9 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი

3. საწვავის ადგილზე (სითხის სახით) მიწოდების წესი:

3.1 საწვავის ადგილზე (სითხის სახით) მიწოდება განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებულ მისამართზე ტრანსპორტირების გზით. საწვავის ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულების გადახდა ეკისრება .

3.2 შემსყიდველის წერილობითი შეკვეთიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ") მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება არაუგვიანეს მისი ელექტრონულად გამოწერის დღისა, რის შემდეგაც განხორციელდება საწვავის ადგილზე ტრანსპორტირება და შემსყიდველისათვის მიწოდება/გადაცემა. მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ

შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

3.3 იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს 3.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას, მიმწოდებელი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გააუქმოს შესაბამისი საწვავის შეკვეთა და მოსთხოვოს შემსყიდველს ახალი მოთხოვნის წარმოდგენა, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მიმწოდებლის მიერ რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად ან შეუსრულებლობად.

3.4 საწვავის ყოველი მიწოდების შესახებ შემსყიდველი წინასწარ (არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე) აცნობებს მიმწოდებელს და მიუთითებს მისაწოდებელი საწვავის რაოდენობას. საწვავის მიწოდებისთანავე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც წარმოადგენს საწვავის გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს.

შემსყიდველი:

სსიპ „სმართ ლოჯიქი"
საიდ. კოდი: 206350599
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,
საბანკო რეკვიზიტები; № GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: 2-40-58-15
საკონტაქტო ელ. ფოსტა: gurezumishvili@justice.gov.ge
ხელმძღვანელი პირის სახელით და გვარი:
დირექტორის გიორგი შეიულაშვილის სახით

მიმწოდებელი:

შ შპს „რომპეტროლ საქართველო"
ს/კ 204493002
მისამართი: ვ. ვეკუას ქ. 3, თბილისი
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602

გენერალური დირექტორის
მინდობილი პირი ტლეკ მაულეშევი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2018 წლის „31“ „დეკემბერი“

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში შპს „რომპეტროლ საქართველოსთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორი	—	გ. მეჟლუმიანი
ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი	—	გ. ორჯონიკიძე